

ნოდარ გაფრინდაშვილი

ლათინური ენა და საერთაშორისო
სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლები.

Nodar Gaphrindashvili
Latin Language and The Basis of
International Medical Terminology

Road of medicine is impassable without Latin.

Invia est in medicina via sine lingua Latina

გაუვალია გზა მედიცინაში ლათინური ენის გარეშე

თბილისი
Tbilisi 2012

რედაქტორი-მმდ პროფ. რუსუდან რუხაძე
რეცენზენტები: მმდ.პროფ. ნოდარ ბაქრაძე
ფმდ პროფ. მანანა ქუთელია
ინგლისურად თარგმნა
კონსტანტინე ჩახუნაშვილმა
თსსუ აკადემიური საბჭოს 2008წ. 2 ივნისის #24/10
ოქმის დადგენილებით დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ
სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის
სტუდენტთათვის

С н. გაფრინდაშვილი 2008-2012

С თსსუ 2008-2012

საავტორო უფლებათა კანონის შესაბამისად წიგნის
მთლიანი ან ნაწილობრივი კოპირება- გამრავლება ავტორის
წერილობითი ნებართვის გარეშე დაუშვებელია

ISBN 978-9942-0-0580-0

Redactor- MD Prof. Rusudan Rukhadze

Reviewers: MD Prof. Nodar Baqradze

PHD Prof Manana Qutelia

Translator –Constatine CHakhunashvili

By TSMU academy council #24/10 protocol the book is ap-
proved to be textbook for all faculty students of medical univer-
sity.

С N. Gaphrindashvili 2008-2012

С TSMU 2008-2012

According to copy-right law multiplication of book is forbidden without
permission of the author.

ISBN 978-9941-0-4613-1

შინაარსი

1. შესავალი 5,6
2. ლათინური ანბანი და კითხვის წესები 7-12
3. დიგრაფები და დიფთონგები 12-17
4. ზოგადი ცნობები ბრუნებადი სიტყვების შესახებ 18-20
- 5.- a-ზე , -um-ზე და -um-ზე დაბოლოებული სახელები 20-28
6. -us-ზე დაბოლოებული სახელები 29-33
7. -ar,-er, -ir,- or, -ur-ზე დაბოლოებული სახელები 33-38
8. ზედსართავი სახელი 39-42
9. ზედსართავი სახელების ხარისხების წარმოება 43-46
10. ზმნიზედების წარმოება ზედსართავი სახელებიდან 46-48
11. სხვადასხვა დაბოლოებების არსებითი სახელები 49-55
- 12.-men, -c, -al, -e და -u-ზე დაბოლოებული სახელები 55-57
13. ზედსართავ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები 58-69
14. არსებით სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები 69-81
15. ზმნის ძირითადი ფორმები და მიმღებები 82-88
16. შეთანხმებული და შეუთანხმებელი მსაზღვრელ-
საზღვრული 97
17. ბერძნულ-ლათინური ლექსიკური პარალელები 98-104
18. სიტყვსტწარმოება ლათინური თავსართებით 105-110
19. სიტყვატწარმოება ბერძნული თავსართებით 111-121
20. სიტყვატწარმოება ბერძნული ბოლოსართებით 122-143
21. რიცხვითი სახელი 144-147
22. სამედიცინო ხასიათის გამონათქვამები 148-151
23. მხატვრული გამონათქვამებ 152-154
24. სახელმძღვანელოში არსებულ სიტყვა-ტერმინთა
ანბანური ლექსიკონი 155-192
25. საგამოცდო მასალა #2 212

1. Introduction .
- 2.Latin alphabet and reading rules
- 3.Digraphs and Deeptongues
- 4.General Notifications About Declinable words
- 5.Words with -a-, -um- and -on Endings
- 6.Words with –us Ending
- 7.Words with -ar, -er, -ir, -or, -ur Endings
- 8.Adjectives
- 9.ormation of Adjective Degrees
- 10.ormation of Adverbs from Adjectives
- 11.Nouns with Different Endings
- 12.Words with -men, c, al, e, t and u Endings
- 14.Suffixes Used in Adjective Formation
- 13.Main Suffixes to form Nouns
- 15.Main forms of verbs and patriciples used in medical terminology
- 16.Coordinated and non-Coordinated Complex Terms
- 17.Greek-Latin Lexical Parallels
- 18.Word Formation with Latin Prefixes
- 19.Word Formation with Greek Prefixes
- 20.Word Formation with Greek suffixes
- 21.Numerals
- 22.Medical Expressions
- 23Artistic Expressions
- 24Lexicon of Words and Terms Used in This Book
- 25.Exam Material

მეცადინეობა 1

Introduction

შესავალი

საერთაშორისო სამეცნიერო, და მათ შორის სამედიცინო, ტერმინოლოგიის საფუძველია ძველი ბერძნული და ლათინური ენის ლექსიკა. ეს განაპირობა სამმა ფაქტორმა

Basis of International medical terminology is Latin and Greek languages. This was defined by three factors

1. ჯერ ძველბერძნულ და შემდგომ ლათინურ ენაზე ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე საუკუნეებით ადრე შეიქმნა დიდძალი ლიტერატურა ადამიანური ყოფიერების ნებისმიერ სფეროში (გავიხსენოთ მხოლოდ ავტორები: ჰომეროსი, ჰესიოდე, ესქილე, ევრიპიდე, სოფოკლე, არისტოფანე, ეზოპე, დემოკრიტე, ეპიკურე, პლატონი, არისტოელე, სტრაბონი, თუკიდიდე, პითაგორა, არქიმედე, ჰიპოკრატე, ცეზარი, ციცერონი, ლუკრეციუსი, ოვიდიუსი, ვერგილიუსი, ცელსუსი, გალენუსი და სხვა მრავალი). მათი ნაშრომები რომ სხვა ენებზე ითარგმნებოდა, ბევრი სიტყვა-ტერმინი უთარგმნელი რჩებოდა და გადადიოდა ამ ენებში, რადგან, უმეტეს შემთხვევებში, ამ ქვეყნებში არ არსებობდნენ ეს საგნები და, შესაბამისად, მათი სახელწოდებები.

1. Huge literature had been gathered, before Christ's birth, first, in Greek language and after in Latin (let's just remind authors: Homer, Platone, Sofokles, Archimedes, Democrites, Hippocrates, Cicerone, Ceasar, Pithagoras, Strabone etc.) When their compositions were translated into other languages a lot of terms were transferred without change. Because in almost of these countries those things did not exist and , therefore, they did not have word to express it's meaning.

2. ჯერ ბერძნებმა (ალექსანდრე მაკედონელი) და შემდგომ რომაელებმა (პომპეუსი) დაიპყრეს და თავიანთი ენა გააბატონეს მთელ ევრ-აზიასა და ჩრდილო აფრიკაში, რის გამოც ადგილობრივ ენებში თანდათანობით დაიკარგა მრავალი სიტყვა და მათი ადგილი დაიკავა გაბატონებული ენის

ლექსიკურმა ერთეულებმა, მით უმეტეს, რომ გაბატონებული ენა უმეტეს შემთხვევებში მაღლა იდგა ადგილობრივ ენებთან შედარებით.

2. For first time Alexander the Great (Greece) invaded big part of the world and then Pompeus and Caesar (Roman empire). By doing this they dominated their language in territories they have invaded (whole Eurasia, North Africa). That's why a lot of words and terms altered domestic words. The main factor of this was that invaders' languages were standing much higher than local languages in all aspects.

3. გვიან შუა საუკუნეებში ყველა განვითარებული ერის თუ ენის განათლებულმა წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ ენებში დიდი რაოდენობით იყო გადასული ბერძნულ-ლათინური ლექსიკა და, ანბანი კი ყველა ევროპულ ენაში (ბერძნულისა და მისგან მომდინარე ქართული და სომხური ანბანის გარდა) ლათინური იყო და, როცა დადგა საკითხი საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის თაობაზე, ყველამ ერთად დაუჭირა მხარი ძველ ბერძნულსა და ლათინურ ენებს და გადაწყდა, რაც კი რამ ახალი შეიქმნებოდა, სახელი უნდა დარქმეოდა ძველი ბერძნული და ლათინური ენების ლექსიკაზე დაყრდნობით. ეს ასე გრძელდება დღემდე და ნებისმიერი ენის ლექსიკაში ყოველდღიურად იზრდება ბერძნულ-ლათინურ ლექსიკაზე დაყრდნობით შექმნილი ტერმინების რაოდენობა.

3. In late medieavel times every representative of developed countries or linguists knew that a lot of words were transfered from Latin and Greek to European Languages. All European languages (except for Greek, Georgian, and Armenian) use Latin alphabet. So, when time came to discuss subject of creating internation terminology, everybody , of course, voted for Greek and Latin languages to be the basis of it. They also decided that evert new term that is created must be named after it's Greek or Latin equivalent. This continues these days and more and more Terms are adopted by languagesbased Greek-Latin lexic.

Latin Alphabet ლათინური ანბანი

Latin	English	name	pronunciation
A	A	ა-ა	ა -ა
B	B	ბე-bæ	ბ-ბ
C	C	ცე-tsæ	ტს-ც,ც.
D	D	დე-dæ	დ-დ
E	E	ე-æ	Æ-ე
F	F	ეფ-æf	f
G	G	გ-გæ	გ-გ
H	H	ჰაჰ-hʌ	ჰ-ჰ
I	I	ი-I	I-ი
J	J	ი- I 0	I-ი
K	K	კა-კʌ	კ-კ
L	L	ელ-æɫ	ლ-ლ
M	M	ემ-æm	მ-მ
N	N	ენ-æŋ	ნ-ნ
O	O	ო-0	ო-ო
P	P	პე	პ
Q	Q	კუ-kʊ	კ- კ,ქ
R	R	ერ-ær	რ-რ
S	S	ეს-æs	ს, z-ს,ზ
T	T	ტე	ტს-ტ,ც
U	U	უ-ʊ	უ, v-უ,ვ
V	V	ვე-væ	v-ვ
X	X	იქს-Iks	ქს-ქს
Y	Y	იგრეკ-ɪɡrɛk	I-ი, ვი
Z	Z	ზეტ-ze	z, ts

ლათინური ანბანბანი ყველა ჩვენგანისათვის სკოლი-დანვე ცნობილი გეომეტრია-ტრიგონომეტრიისა და ქიმიის მეშვეობით. ლათინურანბანს დღეისათვის საერთოდ, ან თავის ანბანთან პარალელურად იყენებს ნებისმიერი, დამწერლობის მქონე ერი (ქვეყანა). მხოლოდ ლათინურ ანბანს (ბერძნულის, ქართულის და სომხურის გარდა) იყენებს

ყველა ევროპული ენა, მაგრამ, ამა თუ იმ ენის ფონ ეტიკური თავისებურებების, ან, ზოგჯერ დაუდევრობის გამო, ცალკეული ასო-ნიშნის თუ ბგერის გამოთქმა მეტ-ნაკლებად ყველა ენაში შეიცვალა და ეს უნდა გავითვალისწინოთ ლათინური ასოებით დაწერილი სიტყვების კითხვისას.

განვიხილოთ თითოეული ასო-ბგერა ცალ-ცალკე;

Latin language is familiar to us from school from geometry-trigonometry and chemistry. Latin alphabet is used directly or paralelly by every single nation. In Europe latin alphabet is directly used by every country except Greece, Georgia, Aremenia. However , because of different phonetic features or just becasue of carelessness, some characters are pronounced in dfferent ways. We should foresee this when reading latin words.

Let's try to discuss each character separately:

A-ეს ნიშანი ლათინურში, ქართულად რომ გავიაზროთ, “ა” ხმოვნით გადმოიცემა. ასევე გამოითქმის იგი რუსულად გერმანულად და ბევრ სხვა ენაში, ინგლისურში კი მას „ეი“ ან „ე“-დ გამოთქვამენ.

A, a – A. in English this letter is pronounced as æ but in other languages (Georgian, German, Russian etc) is pronounced as A.

B,b ეს ნიშანი თითქმის ყველა ენაში (რუსულის გარდა) „ბ“-დ გამოითქმის.

B, b – b. this letter is ponnounced as b almost in every language .

C, c კ.ც. ეს ნიშანი ძველ, ნამდვილ ლათინურში „კ“-დ გამოითქმოდა გამონაკლისის გარეშე, მაგრამ მოგვიანებით, სხვა ენების გავლენით, მას ი და ე ხმოვნების წინ „ც“-დ გამოთქვავენ, სხვა შემთხვევებში კი „კ“-დ. (კითხვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლათინურში, სხვა ენების გავლენით

დაგროვდა ორი ‘ი‘ და სამი „ე“. ესენია: I, y, e, ae oe. ესეიგი “ც“-დ უნდა წავიკითხოთ ამ ნიშნების წინ.

C, c – კ, ts. this letter in old Latin was read as კ without any exceptions. Although, with influence of other languages it is pronounced as ts before these characters: i, y, e, ae, oe .

D.d. ეს ნიშანი ყველგან“დ-დ გამოითქმის.

D, d- d. it is read as d in every language.

E.e. ეს ნიშანი ინგლისურს გარდა თითქმის ყველაენაში „ე“-დ გამოითქმის, ინგლისურში კი მას „ი“-დ კითხულობენ.

E, e- æ . this character is read as æ in every language but English.

F.f ამ ნიშნის შესატყვისი ასო ქართულში არაა...

F, f- f. there is no Georgian letter for this one.

G, g – g. In Latin it is read as g . In English as dʒ .

H.h ამ ნიშანს, რუსულს გარდა, ყველა კითხულობს როგორც ჰ, რუსულში კი მას „გ“-დ გამოთქვამენ.

H, h - h. this letter is read as h by every one except Russians.

გ: გერმანულში იგი არის, როგორც ლათინურში „გ“, ფრანგულში „ჟ“, ინგლისურში კი „ჯ“

I.i ეს ნიშანი რუსულში არაა. როგორც ლათინურში, გერმანულშიც იგი გამოითქმის როგორც“ი“, ასევე ფრანგულსა და ბევრ სხვა ენაში, ინგლისურში კი მას „აი“-დაც გამოთქვამენ. (Nike -ნაიკ)

I, i – I. This letter is read as I in Latin. In English it is usually pronounced as aI.

J,j-ი. რუსულში ეს ნიშანი არაა, როგორც ლათინურში, გერმანულსა და სხვა ენებშიც მას მოკლედ „ი“-დ გამოთქვამენ, ინგლისურში კი „ჯ“-

J,j-i. it is read as dʒ - in English. In Latin it is read as I.

K, k – კ.

L, l – ლ.

M, m – მ.

N, n – ნ.

ყველა ენაში ეს თანხმოვნები ასევე გამოითქმიან,

О,о-ო. რუსულში იგი მახვილის წინ „ა“-დ გამოითქმის, გერმანულსა და სხვა ენებშიც, ლათინურის მსგავსად იგი „ო“-დ იკითხება, ინგლისურში კი ხან არის „ო“, ხან „უ“.

O, o –o. It is read as o in English , German, french. However, in English double o is read as u.

Р,р-პ. რუსულში მას „რ“-დ კითხულობენ, ევროპულ ენებში კი როგორც „ფ“, ლათინურში იგი უნდა წავიკითხოთ როგორც მკვეთრი პ, „ფ“-დ იგი მაშინ წაიკითხება, თუ ახლავს h-ჰ. მაგალითად, Phosphorus-ფოსფორუს

P,p –პ. there is no English equivalent for this letter. It is read as Georgian პ in Latin. If after P comes H then it is read like English P, not as f as it is in English. phosphorus (latin) - posporus.

Q, q- ქ. რუსულში მას „კ“-დ კითხულობენ, სხვა თითქმის ყველა ენაში კი, როგორც ქართული ქ. ყველა ენაში იგი ყოველთვის u -სთან ერთადაა და გამოითქმის როგორც „ქვ“ იშვიათად „კვ“.

Q, q – k. In latin it is pronounced the same way as in English. If U comes after Q we read it as kv (or seldomly as კვ)

R, r-რ. ეს ნიშანი რუსულში არაა, სხვა ენებში კი (ფრანგულის გარდა) ლათინურის მსგავსად, იკითხება როგორც ქართული რ.

R, r – r. It is read as r in every language. There's no r in russian.

S, s-ს,ზ. ეს ნიშანი ძველად ყველგან ისე გამოითქმოდა, როგორც ქართული „ს“, მაგრამ სხვა ენების გავლენით იგი გამჟღერდა და ხმოვნებს შორის, ან ,m,n,r,l-ს გვერდით გამოითქმის როგორც ქართული „ზ“.

S, s –s,z. This letter in old times was read only as s , but with influence of other languages it is now read as z between vowels and if it is nearby m, n, r, l

T, t-ტ,ც. ძირითადად იგი „ტ“ ბგერაა, მაგრამ თუ ti მარცვალს კიდევ ხმოვანი მოსდევს და წინ არ უძღვის t ,s ან x , იგი გამოითქმის როგორც „ც“.(თქვენ ვერ დაასახელებთ ვერცერთ ტერმინს, რომელიც ქართულსა და ბევრ სხვა ენაში „-ცია“-თია გახმოვანებული, რომ არ იყოს ლათინური და

არ იწერებოდეს tio-თი ან tia-თი, ასეთი სიტყვა-ტერმინი კი რამდენიმე ასეულია. ევროპულ ენებში მას „თ“-დ გამოთქვავენ, ლათინურში კი უნდა წავიკითხოთ როგორც ქართული მკვეთრი ბგერა „ტ“. „თ“-დ იგი მაშინ გადაიქცევა თუ h-ს დავამატებთ. მაგალითად *thermotherapia* -თერმოთერაპია.

T, t - ts. It is usually read as Georgian letter . If “ti” syllable is followed by vowel and S or X it is read as ts. If T is followed by H it will be read as English t. *thermotherapia*(Latin) – termoterapia

U, u-უ, ვ. ეს ნიშანი q-სთან ერთად (qu), au, eu, *lingua*, *sanguis*, *unguis* და ცხვა, როცა “ngu”-ს კიდევ ხმოვანი მოსდევს, „ვ“-დ იკითხება, სხვა შემთხვევაში კი იგი „უ“ ხმოვანია. რუსულში იგი „ი“-დ გამოითქმის, გერმანულში, ფრანგულში და ბევრ სხვა ენაში კი, ლათინურის მსგავსად „უ“-დ.

U, u – ო, ვ. If this letter follows Q, is with qu, au, eu and in several words (*Lingua*, *Sanguis*, *Unguis*) when it is after “ng” syllable is read as v. Normally it is read as ო.

V, v-ვ. იგი ლათინურსა და ბევრ სხვა ენაში გამოითქმის როგორც ქართული „ვ“, მაგრამ გერმანულში იგი გამოითქმის როგორც, ვთქვათ, რუსულში ჭ ან ლათინური f.

V, v –v. In latin and a lot of languages it is read as v.

X, x -ქს. ეს ბგერაც და ნიშანაც ლათინურ ენასა და დამწერლობაში ბერძნულიდან გადავიდა. ლათინურში მას ვკითხულობთ როგორც ქართული „ქს“, რუსული და ესპანური კი მას „ხ“ ბგერად გამოთქვამს, თუმცა ზოგჯერ ესპანურში „ქს“-დაც იკითხება. მაგალითად, მექსიკა, მაგრამ მისი დედაქალაქი, რატომღაც გახდა მეხიკო და არა მექსიკო -*Mexico*.

X, x – ks. This letter was adopted by latin language from Greek. It is read as ks.

Y, y- ი, ვი. ესეც ბერძნული ბგერის გადმოსაცემად შემოიღეს რომაელებმა და მისი სიტყვაში არსებობა ნიშნავს, რომ ეს სიტყვა ბერძნულია, ან, იშვიათად, რომელიმე სხვა ენოვანი. იგი ლათინურში ამჟამად ყოველთვის „ი“ ხმოვნით გადმოიცემა.

Y y - I. This letter was also of greek origin and if we meet this letter in a word it means that the word is greek or rarely is from another language. Today, it is pronounced as I. However, in Georgian we have proof that it may had been pronounced as VI.

Z, z - ძ, ზ, ც ეს ნიშანი შესაბამის ბერძნული ზგერის გადმოსაცემად შექმნეს რომაელებმა. მაგრამ შემდეგ გამჟღერდა და ახლა გამოითქმის როგორც ქართული "ზ". სულ რამდენიმე შემთხვევაში გამოითქმის იგი როგორც ქართული „ც“, ამბობენ გერმანული ენის გავლენითო, რადგან გერმანულში იგი სწორედ „ც“ ზგერას გამოხატავს. მაგალითად,

Zinkum-ცინკუმ, Trapezium- ტრაპეციუმ და სხვა.

Z, z – dz , z, ts. This letter was created to express the old greek letter. Although, it is now usually pronounced as z. In several conditions it is read as ts. Zinkum(latin)- tsinkum, Trapezium - რაპეციუმ

ამ 25 ასო-ნიშნიდან j გვიან მიამატეს ლათინურ ანანს, ხოლო k, y, z ბერძნულიდან გადაიტანეს ლათინურში ამ ზგერების შემცველი სიტყვების ზუსტად გადმოცემის მიზნით და მიუთითებს, რომ ეს სიტყვა არაა ლათინური.

From these 25 letters J was later added to alphabet . k, x, y and z were adopted from greek alphabet to pronounce some words correctly.

დიგრაფები

ბერძნული სიტყვების სწორად გადმოსაცემად საჭირო გახდა აგრეთვე ბერძნული „ხ“, „თ“ და „ფ“ ზგერების გადმოცემა. პირველის გადმოსაცემად აიღეს მკვეთრ c (კ) და მიამატეს ფშვინვიერი h . ესეიგი ch უნდა წავიკითხოთ როგორც ქართული ქ.

„თ“-ს გადმოსაცემად აიღეს მკვეთრი t ტ და მასაც მიამატეს ფშვინვიერი h . ესეიგი th უნდა წავიკითხოთ როგორც ქართული „თ“.

„ფ“ ბგერის გადმოსაცემად p „პ“ მკვეთრს მიამატეს ისევე h ჰ და მიიღეს „ფ“, ამ ნიშნებს დიგრაფები, ანუ ორნაწერი ეწოდება.

როდესაც ვილკინსონმა შექმნა ე.წ ვილკინსონის მალამო Unguentum Wilkinsoni, ვილკინსონის გვარის შესაბამისად „ვ“ ბგერა გერმანულ-ინგლისური დაბლიუ (w)-თი დაფიქსირდა და ამის შემდეგ „ვ“ ბგერის შემცველი, არაკლასიკური ენებიდან მომდინარე ტერმინები, სასურველია, რომ დაბლიუ-თი ვწეროთ.

როცა ლეიშმანმა აღმოაჩინა და შეისწავლა დაავადება „ლეიშმანოზი,“ დაავადების სახელწოდებაში „შ“ ბგერა გამოსახეს გერმანული sch-ით და ასევე არაკლასიკური ენებიდან მომდინარე სიტყვა-ტერმინებში „შ“ ბგერა ამ სამი ნიშნით უნდა გადმოიცეს.

ზოგჯერ ხდება, რომ ბერძნულიდან მომდინარე სიტყვაში ერთად გვხვდება „ს“ და „ხ“ ბგერები S+CH და ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვთქვათ „სხ“ და არა „შ“. მაგალითად სხემა, სხოლიუმ და სხვა. შეცდომითაა დამკვიდრებული სიტყვა-ტერმინები „იშემია“, „იშურია“, „იშიაზი“ და სხვა. სწორია „ისხემია“, „ისხურია“, „ისხიაზი“ და სხვა.

Digraphs

For correctly adopting words from Greek it was needed to spell Greek (kh), (th) and (p)

For spelling first one they took C and H. Generally, CH must be read as k , but later it changed and now is read as kh.

For spelling th they took T and H. TH must be read as Georgian letter th.

For spelling p they took P and H.

When wilkinson created so-called “ointment of wilkinson” – “Unguentum Wilkinsoni”, Wilkinson’s surname was written with German **W**. After that all

words which are from non-classic languages and include “V” letter are considered to be written by **W**.

When Leishman discovered “leishmania”, SH was expressed by SCH. After this fact all words from non-classic languages and include SH must be written with SCH.

Sometimes we meet S and CH letters together in a word. In this case, it must be read as S + CH, not as SH.

Ishemia is wrong, correct word must be iskhemia: Ishuria – Iskhuria etc.

დიფთონგები

დიფთონგი ბერძნული სიტყვაა და ქართულ თარგმანში „ორხმოვანას’ ნიშნავს. ესაა ორი ხმოვნის ისეთი შერწყმა, რომელიც ერთ მარცვალს ქმნის.ლათინურში სულ ოთხი დიფთონგია, ესენია;

ae -ე

oe-ე

-au- ავ

eu- ევ

ზოგჯერ ხდება, რომ ae ან oe არაა დიფთონგი, ასეთ შემთხვევაში e -ზე კეთდება ორი წერტილ(e) ე.წ გაყოფის წერტილები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ორივე ხმოვანი უნდა წავიკითხოთ, მაგალითად Aloë-ალოე, uropoësia-უროპოეზია და სხვა.

ზედსართავისახელებისბოლოს, რომელთაცგრამატიკული სქესის ნიშნებად აქვს us და um დაბოლოებები -e ფუძიან სახელებში შემთხვევით იყრის ერთად თავს e და u. ასეთ შემთხვევებში ორივე უნდა წავიკითხოთ და გამოვთქვათ. მაგალითად -arachnoideus-არახნოიდეუს-აბლაზუდისებრი. necezareus-ნეცეზარეუს-აუცილებელი და სხვა.

Deeptongues

Deeptongue is a combination of vowels which form one syllable. There are four deeptongues in Latin:

ae – æ;

oe – œ;

au – ʌv;

eu – æv.

Sometimes it happens that ae or oe are not deeptongues. In this case, two dots are made upon e (ë). We must read both vowels if we meet this sign:

aër – ʌær;

aloë – ʌoæ; uropoëzia – uropoëzia etc.

Adjectives which have us and um gender endings and their basis ends on e, we may meet e and u. In this case, we must read and spell.

Arachnoide-us - ʌrʌkhnoidæʊs, spiderly

necesare-us - nætsæsaræʊs, necessary etc.

HOMEWORK დავალება.

Reading exercise. საკითხავ-სავარჯიშო მასალა

Dyspepsia. pyelitis. hypotonia. amygdala. myopia. myoma. gangraena. anaemia. aeger. laesio. praecordium. saepe. aetiologia. coelia. amoenus. auditus. auscultatio. nausea. fauces. aurora. auris. aurum.

Leukaemia. aneurysma. neuritis. pneumonia. pseudomembrana. Eupnoë. aër. diploë. aloë. benzoë, uropoësia. hydrops. haema. zygoma. zoonosis. ozaena. herpes zoster. zincum.

Quotidie. liquor. Liquiritia. quercus. squamosus. aquila. antiquus. quartus. quintus. sanguis. anguis. unguis. lingua Latina. sublingualis. unguentum. sub-
unguialis. substantia. solutio. vitium. palpatio. auscultatio. actio.

combustio. bestia. typhus exanthematicus. erythema. cholecystitis. haemophilia. nephrolithiasis. chirurgia. chondros. physiologia. xanthochromia. haemorrhagia. thermotherapia. prophylaxis. paraesthesia. rhinorrhagia. thyreoideus. splanchnologia.

polynuclearis. sectio caesarea. appendix. botulismus. exulceratus. naevus. psychologia. thalamus. ophthalmologia. systole. interosseus. trochanter. hirudo. manubrium. nephritis. triplex. reconvalessentia. convallaria. bilateralis. pneumonia. pneumaticus. avirulentus. propedeutica. remedia. antipyrica. urolithiasis. sphenoidalis. embryo. pinguis. extremitas. ulcus ventriculi. pulsus frequens. hypogastrium. membrana arachnoidea. aequalis. caseosus. paediatæ.

მეცადინეობა 2

ზოგადი ცნობები ბრუნებადი სიტყვების შესახებ

1. ორ და მეტსიტყვიან ტერმინებში, ქართულისაგან განსხვავებით, ლათინურში პირველადგილზე დგას არსებითი სახელი, შემდეგ კი ნებისმიერი სხვა სახელი.

. მაგალითად, ქართულად ვამბობთ ბრმა ნაწლავი, ლათინურად კი უნდა ვთქვათ ნაწლავი ბრმა-intestinum caecum; ქართულად ვამბობთ: წყლის წვეთი, პირველი ნეკნი, გამოხდილი წყალი და სხვა, ლათინურად კი უნდა ვთქვათ: gutta aquae, costa prima, aqua destilatta etc.

General Notifications About Declinable Words

1) In terms which consist of two or more words, In Latin first word must be noun and then any other word. For example, In English there is blind gut, but In latin we say intestinum caecum; Destiled water – aqua destilatta etc.

2. ლათინურ ენაში არსებითი სახელი უცილობლად უნდა დავიმახსოვროთ ორი, სახელობითისა (nominativus) და ნათესაობითის (genetivus) ფორმით, რადგან:

2) We must remmeber words in two forms - Nominative (Nominativus) and Relative (Genetivus), because:

ა) სახელთა უმრავლესობა სახელობითში სრული ფუძით არაა წარმოდგენილი და იგი ნათესაობითში გამოჩნდება. მაგალითად, თავი სახელობითში არის caput, ნათესაობითში capitis, ტერფი სახელობითში არის pes, ნათესაობითში -ped-is, ადამიანი სახელობითში არის Homo, ნათესაობითში homin-is და სხვა.

ა) A lot of words in Latin do not show their ful basis when they are in Nominative form and the real basis is show in Relative form. For example: Head

– Caput (Nominative), Capit-is (Relative); Foot – Pes (Nominative), Ped-is (Relative); Human – Homo (Relative), Homin-is (Relative) etc.

ბ) რეცეპტში ყველა ნივთიერების დასახელება ჩაისმის ნათესაობით ბრუნვაში. მაგალითად, Recipe aquae destillatae 10,0- აიღე გამოხდილი წყლის 10 გრამი, ან Rp.Olei Olivarium 0,5- აიღე ზეთუნის ზეთის 0,5 და სხვა.

b) In recipes every name of substance must be in relative form

Recipe Aquae destillatae 10,0.- take 10 gramms of destiled water, or, Rp. Olei olivarium 0,5 – take 0.5 gramms of lamp-oil.

გ) როგორც სხვა ენებში, ვთქვით ქართულში, ეგრეთ-წოდებული შეუთანხმებელი მსაზღვრელი ყოველთვის დგას მხოლოდითი (იშვიათად მრავლობითი) რიცხვის ნათესაობითში და, თუ გვეცოდინება ნებისმიერი სახელის ნათესაობითი, ადვილად ვაწარმოებთ ახალ, ორ და მეტსიტყვიან ტერმინებს. ვთქვით ვიცით, რომ თავს ჰქვია caput, capitus, ხოლო ნეკნს costa, costae, ხომ გასაგები იქნება, რომ ნეკნის თავს ერქმევა caput costae. ან, თუ ვიცით, რომ ზეთს ჰქვია oleum olei, ხოლო აბუსალათინ Ricinus, Ricini, ხომ გამოვიცნობთ, რომ აბუსალათინის ზეთს ერქმევა Oleum Ricini და სხვა მრავალი.

c.. if we know relative form of any words , It will be easy for us to form terms. For example, we know that head is caput , capitus, and rib is costa, costae, It is clear that head of rib will be caput costae. Oil is oleum, olei and castor-oil plant is Ricinus, Ricini, oil of castor-oil plant will be oleum Ricini etc.

3.პირველი რიგის ზედსართავი სახელები, წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღებები, რიგობითი რიცხვითი სახელები და კუთვნილებითი ნაცვალსახეკები უნდა დავიმახსოვროთ სამივე გრამატიკული სქესის ფორმით და ეს ძალზე ადვილია, ნებისმიერს ექნება მამრობით სქესში დაბოლოება -us,-er, მდედრობითში - a , ხოლო საშუალოში-um

3) We must remember adjective of first line, past time passive voice participles , possessive pronouns and numeral names of raw in all three gender

endings and it is way easy. Each one will have us in masculine gender, a – feminine, um – neuter.

მაგალითად;

albus, alba, album – white-თეთრი.

niger, nigra, nigrum – black-შავი

caecus, caeca, caecum – blind-ბრმა

primus, prima, primum - first-პირველი

acquisitus, acquisita, acquisitum – acquired-შეძენილი

meus, mea, meum – mine etc.-ჩემი და სხვა

-a-ზე, -um-ზე და -on-ზე დაბოლოებული სახელები

-A-ზე, -um-ზე და -on-ზე დაბოლოებული სახელები ყველა ერთი წესით აწარმოებს მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითს და ამიტომ ცალკეული სიტყვის ნათესაობითის დაზეპირება არაა სავალდებულო, კერძოდ, -a – ზე დაბოლოებულ ყველა სახელს (-ma -ზე დაბოლოებული ბერძნული წარმომავლობის არსებით სახელთა გარდა) ნათესაობითში აქვს დაბოლოება -ae და აბსოლუტური უმრავლესობა მდედრობითი სქესისაა. (მათ პირველი რიგის ზედსართავი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელები და წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღებები შეეთანხმება a -, ხოლო მეორე რიგის ზედსართავი სახელები -is დაბოლოებით. მაგალითად -Amygdala amara -მწარე ნუში, Linea brevis -მოკლე ხაზი)

Words with -a, -um and – on endings

1) Words with of –a, -um and –on endings form singular relative form by according to one rule, so it is not necessary to remember words in relative form.

all words which end on –a (except for greek words with –ma ending) has

-ae ending in relative form and almost all of them are of feminine gender (Adjectives of first row, numeral names of row and past time passive voice participles makes pair with these words with ending -a; Adjectives of second row – is. For example: Amygdala amara – bitter almonds, Linea brevis – short line)

Lexical minimum: -სავალდებულო სალექსიკონო მინიმუმი

costa, costae - rib .- ნეკნი.

vertebra, ae - vetebrae.-მალა

spina, ae spike, ringe-წვეტი.

struma, ae – goitre.-ჩიყვი

lingua, ae – tongue.-ენა

scapula,ae – scapula.- ბეჭი

glandula,ae – gland-ჯირკვალი

clavicula – collar-bone. -ლავიწი

maxila – upper jaw.-ზედა ყბა

mandibula – lower jaw-ქვედა ყბა.

tibia – large shin.-დიდი წვივი

fibula – small shin.-მცირე წვივი

gingiva – gum.-ღრძილი

bucca – cheek. -ლოყა

vena – vein.-ვენა

arteria – artery. -არტერია

columna – column .-სვეტი

vesica – bladder .-ბუშტი

caverna – cavern. -მღვიმე

lacrima – tear-drop. -ცრემლი

mamma – breast.-ძუძუ

gutta – drop.-წვეთი

aqua – water.-წყალი

Viola – violet .-ია

Mentha – mint .-პიტნა

Urtica – nettle -ჭინჭარი.

musca – fly. -ბუზი
 ursa –fe male bear.ძუ დათვი
 Belladonna – Deadly nightshade, Belladonna.-შმაგა
 blatta – bug .-ტარაკანა
 vespa – wasp. -კრაზანა.
 Valleriana - Valeriana. -კატაბალახა
 catta – cat .-კატა
 Betula – Birch.-არყი
 Thea - tea.-ჩაი

როცა არსებითი სახელი (სხვა არა) -ma-ზე მთავრდება, ყველა სახელი უნდა დავიზეპიროთ ორივე, სახელობითისა და ნათესაობითის ფორმით.

When we meet noun (not others) with ending –ma we must remember each word's nominative and relative form.

რომელთაც აქვთ ნათესაობითში-ae, არის ჩვეულებრივი, პირველი ბრუნების არებითი სახელი, ხოლო, რომელთაც ნათესაობითში ექნება დაბოლოება -atis, იქნება მესამე ბრუნების საშუალო სქესის ბერძნული წარმომავლობის სახელი. მაგალითად:

Words which have –ae in relative form are normal nouns of first case. Words with ending of –atis , will be neuter gender greek words of third case. For exampe:

lacrima, lacrimae – teardrop.-ცრემლი
 gemma, gemmae – bud.-კვირტი
 pluma, plumae – pen -კალამი.
 squama, squamae - squama.-ქიცვი
 struma, strumae - goiter.-ჩიყვი
 anima, animae – spirit .-სული
 pneuma, pneumatis – spirit.-სული
 diaphragma, diaphragmatis – diaphragm.-შუასაძგიდი
 zygoma, zygomatis – zygoma .-ყვრიმალი
 oedema, oedematis – swell.-შესუპება

fibroma, fibromatis –bening tumor of fibrous tissue.-ბოჭკოვანი ქსოვილის სიმსივნე და სხვა, etc.

- UM-ზე დაბოლოებული ნებისმიერი სახელი საშუალო სქესისაა, ნებისმიერს აქვს მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითში i, ხოლო მრავლობითი რიცხვის სახელობითში a. მაგალითად, folium-ფოთოლი, folii-ფოთლის, folia-ფოთლები. Intestinum-ნაწლავი, intestine-ნაწლავის, intestina-ნაწლავები. და სხვა მრავალი.

-um-ზე დაბოლოებული სახელები ლათინურში და განსაკუთრებით სამედიცინო ტერმინოლოგიაში ძალიან ბევრია და, როგორც ითქვა, არცერთ მათგანს არ ესაჭიროება ზედმეტი ფიქრი, ნებისმიერი არის საშუალო სქესის, ნათესაობითში აქვს დაბოლოება -i, ხოლო მრავლობითი რიცხვის სახელობითში-a. ესენია:

Any word ended on –um is of neuter gender, each of them have –i ending in singular relative form and –a ending in plural nominative form.

folium –ფოთოლი- leaf , folii-ფოთლის – of leaf , folia-ფოთლები – leaves.

intestinum –ნაწლავი- gut , intestini –ნაწლავის- of gut , intestina –ნაწლავი- guts etc.

There a lot of words with –um ending in latin and especially in medical terminology. They don't need a lot of thinking : all of them are of neuter gender , they have –a ending in plural nominative form and –i ending in nominative form. Here they are:

a) Almost every name of ready drugs. -მზა წამალთა სახელწოდებები.

Papaverin-um, papaverin-i.

Biomycinum.

Canamycinum.

Dibazolum.

Papazolum.

cardiamimum, cardiamini.

Antipyrinum.

Prednizolonum

etc.

b) Names of chemical elements.-ქიმიურ ელემენტთა სახელწოდებები

(გამონაკლისია; sulfur, sulfuris-გოგირდი, phosphorus, phosphori- ფოსფორი და სამი ელემენტი -on დაბოლოებით, თუმცა, ისევე როგორც -on-ზე დაბოლოებულ ყველა სხვა სახელს, მათაც შეიძლება, რომ -um დაბოლოება ჰქონდეთ -on დაბოლოების ნაცვლად. მაგალითები;

(There are several exceptions: sulfur, sulfuris – sulphur; phosphorus, phosphori – phosphorus and three more elements with –on endings. However, they can have both –on and –um endings. argon, argum) examples:

plumbum – lead .-ტყვია

Cuprum – copper .-სპილენძი

Aurum – gold .-ოქრო

Zincum, zinci – zinc.-თუთია

Hydrogenium – Hydrogen. -წყალბადი

Hydrargyrum – quicksilver, mercury.-ვერცხლიწყალი

Ferrum – iron-რკინა etc.

c) Names of acidS.-მჟავათა სახელწოდებები.

რადგან თვით სიტყვა „მჟავა“ –acidum საშუალო სქესის-um-ზე დაბოლოებულია, მჟავას სახეობის აღმნიშვნელი სახელწოდება მას, ცხადია, საშუალო სქესის ფორმით უთანხმდება., მაგალითად;

Because acidum itself is of neuter gender word. Word which gives us variety of an acid, will make pairs with it with neuter form. For example

Acidum sulfuricum – sulphur acid. -გოგირდმჟავა

Acidum sulfurosum – sulphurous acid-გოგირდოვანი მჟავა.

Acidum lacticum – lactic acid.-რძემჟავა

Acidum citricum – citric acid etc.-ლიმონმჟავა და სხვა.

d) Adjectives of first raw, numeral names of raw and past time passive voice participles:--პირველი რიგის ზედსართავი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელები, წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღებობები

album – white.-თეთრი

nigrum – black-შავი

primum – first . -პირველი

octavum - eighth.-მერვე

acquisitum – acquired-შეძენილი.

congenitum – congenital.-თანდაყოლილი.

e) Words formed from verbs with -mentum suffix. –ზმნებიდან -„მენტუმ“ სუფიქსით ნაწარმოები არსებითი სახელები:

alere – feed- კვება , alimentum-საკვები – food;

medicare –მკურნალობა being a doctor , medicamentum – სამკურნალო საშუალება, წამალი -drug , preparation;

fundare – to found;-დაარსება

fundamentum – foundation-საფუძველი .

f) General Latin words:.-ზოგადი ლათინური სახელები.

acidum – acid.-მჟავა

antidotum – antidote-შხამსაწინააღმდეგო.

antebrachium – forearm-წინამხარი.

cerebellum – cerebellum.-ნათხემი

vitium – defect.-მანკი

atrium – atrium of the heart.-წინაგული

cerebrum – brain .-ტვინი

decoctum – decoctum-გამონახარში.

dorsum – back.-ზურგი

duodenum – duodenum.-თორმეტგოჯა

folium – leaf -ფოთოლი
 septum – patitum-ძგიდე
 ligamentum – ligament-იოგი.
 sacrum – sacrum.-გავა
 colum – neck- ყელი.
 brachium – arm-მხარი.
 cavum – cavity-ღრუ.
 membrum – membrer.- კიდური
 ieium – small gut-წერილი ნაწლავი. .
 linimentum – liquid oinment.-თხევადი მალამო.
 mesenterium – mesentery-ჯორჯალი.
 unguentum – ointment.-მალამო.
 omentum – epiploon-ბადექონი
 oleum – oil -ზეთი.
 periosteum – periosteum.-ძვალსაზრდელა
 rectum – rectum.-სწორი ნაწლავი
 labium – labium-ბაგე.
 venenum – venom.-შხამი
 vitrum – glass.-შუშა
 cilium – eyelash-წამწამი.
 supercilium – eyebrow.-წარბი
 intestinum caecum – blind gut-ბრმა ნაწლავი etc.

-on-ზე დაბოლოებული ყველა სახელი ბერძნული წარმომავლობისაა, -on დაბოლოების ნაცვლად მათ შეიძლება -um დაბოლოება ჰქონდეს.(skeleton-skeletum).

Every word with –on ending is of neuter gender. They have –i in singular relative form and –a in plural nominative form. For example:

skeleton –ჩონჩხი- skeleton , skeleti – ჩონჩხის-of skeleton , skeleta –ჩონჩხები- skeletons.

ganglion –კვანძი- ganglion , ganglii –კვანძის- of ganglion , ganglia –კვანძები- ganglions.

Every word with –on ending are of greek origin and can have –um ending as well. (skeleton, skeletum)

Lexical minimum:-ლექსიკური მინიმუმი

ganglion, ganglii, ganglia – ganglion.-ნერვული კვანძი

olecranon – olecranon -იდაყვის მორჩი

encephalon – Head brain-თავის ტვინი(ბ.).

organon – organ.-ორგანო, ნაწევარი

sceleton – skeleton.-ჩონჩხი

osteon – bone.-ძვალი

enteron – gut-ნაწლავი.

botanon – plant.-მცენარე

pharmacon – drug.-წამალი

metopon – forehead-შუბლი.

acromion – acromion.-აკრომიონი, შემადღება

colon – colon-კოლინჯი etc.

ამ სახელებს (-um-ზე და -on-ზე დაბოლოებულებს) პირველი რიგის ზედსართავი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელები და წარსული დროის ვნებითი გვარის მიმდებარე შეეთანხმებიან -um, ხოლო მეორე რიგის ზედსართავები - e დაბოლოებით. მაგალითად. Pharmakon//medicamentum compositum.-რთული წამალი. Vitrum nigrum-შავი შუშა, folium viride-მწვანე ფოთოლი და სხვა.

Adjectives of first raw, numeral names of raw and past time passive voice participles will link with this words by –um ending. Adjective of second raw with –e. For example: pharmacon or remedium compositum –complex-drug.. vitrum nigrum–black glass; folium viride–green leaf etc.

HOMEWORK დავალება.თარგმნეთ ლათინურად.

Translate into latin:

Drop of water-წყლის წვეთი

Water of rose

ვარდის წყალი

Fracture of rib

ნეკნისმოტეხილობა

Nettle tincture

ჭინჭრის ნაყენი

Decoctum of mint პიტნის გამონახარში

destilised water

გამოხდილი წყალი

filtered tincture

გაფილტრული ნაყენი

leaf of Nettle -ჭინჭრის ფოთოლი

bud of birch-არყის კვირტი

drop of oil-ზეთის წვეთი

filtered oil-გაფილტრული ზეთი

neck of scapula -ბეჭის ყელი

first rib - პირველი ნეკნი

ointment of mulberry-თუთიის მალამო

Drop of valeriana -კატაბალახას წვეთები

acquired defect - შეძენილი მანკი

inborn defect -თანდაყოლილი მანკი.

მეცადინეობა 3

--us-ზე

დაბოლოებული სახელები.

-us-ზე დაბოლოებული ნებისმიერი სახელი უკვე უნდა დავიზეპიროთ როგორც სახელობითის, ისე ნათესაობითის ფორმით, რადგან სწორედ ნათესაობითში გამოჩნდება ამ სახელის ფუძეც და ისიც, თუ რომელ გრამატიკულ სქესსა და ბრუნებას მიეკუთვნება იგი. კერძოდ:

ა). რომელთაც აქვთ სახელობითში -us, დანათესაობითში -i, განეკუთვნებიან 11 ბრუნების მამრობითსქესს, ასეთი სახელები ლათინურში და კერძოდ სამედიცინო ტერმინოლოგიაში ძალიან ბევრია, მათ მრავლობითი რიცხვის სახელობითშიც იგივე, -i დაბოლოება აქვთ. მაგალითად, musculus-კუნთი, musculi-კუნთის, musculi-კუნთები.

ასეთებია:

Words with –us ending

We have to learn all words which have –us ending by heart with both nominative and relative forms, because it will show it's basis, which declination and gender it belongs to. For example:

a) Words which have –us in nominative form and –i in relative belong to II declination masculine gender. words like this are a lot in latin, especially in medical terminology. they also have –i ending in plural form. For example:

musculus –კუნთი muscle , musculiკუნთის – of muscle , musculi –კუნთები- muscles.

similar words are:-ასეთი სიტყვებია:

oculus, oculi – eye.-თვალი

nasus, nasi – nose-ცხვირი.

digitus, digiti – finger.-თითი

ventriculus, ventriculi – stomach.-კუჭი

nervus, nervi – nerve.-ნერვი
 ramus, rami – branch.-ტოტი
 succus, succi – juice.-წვენი
 sulcus, sulci – sulcus- ღარი, ნაოჭი.
 lobus, lobi – ration-ულუფა .
 lumbus, lumbi – waist-წელი.
 radius, radii – ray, beam-სხივი
 oesophagus, oesophagi – gullet.-საყლაპავი
 sirupus, sirupi – syrup.-სიროფი
 Hyosciamus, Hyosciami - Hyoscyamus.-ლენცოფა
 nanus, nani – dwarf.-ჯუჯა
 numerus, numeri – number.-რიცხვი
 bulbus, bulbi – bulb-ბოლქვი.
 fundus, fundi – bottom-ფსკერი.
 Ricinus, ricini – castor oil plant.-აბუსალათინი
 Helianthus, helianthi – sunflower-მზესუმზირა etc.

ამ სახელებს პირველი რიგის ზედსართავები -us ან -er, რიგობითი რიცხვითი სახელები და წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღებები -us, ხოლო მეორე რიგის ზედსართავები დაბოლოებათა შესაბამისად -er ან -is დაბოლოებით შეეთანხმებიან. მაგალითად:

Adjective of the first raw will link to these words with –us or –er endings. Numeral names of raw and past time passive voice participles with –us. Adjectives of second raw with –er or –is suffix.

For example;

musculus rectus – straight muscle.-სწორი კუნთი
 musculus brevis – short muscle.-მოკლე კუნთი
 oculus dexter – right eye -მარჯვენა თვალი.
 digitus quartus – forth finger- მეოთხე თითი
 musculus vulneratus – wounded muscle.-დაჭრილი კუნთი
 succus acer – hot juice -ცხარე წვენი. etc.

-us-ზე დაოლოებული მეორე ბრუნების (რომელთაც ნათესაობითში -i დაბოლოება აქვთ) რამდენიმე სახელი მდედრობითი სქესისაა და მათ ზედსართავი და რიგობითი რიცხვითი სახელები და წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღებები მდედრობითი სქესის ფორმით ეთანხმებიან შესაბამისი დაბოლოებით. მაგალითად.

Several words of second declination with -us ending (which have -i ending in relative form) are of feminine gender and adjectives, past time participles and numeral names of raw will link with endings that refer to this gender. For example:

bolus alba – white clay.-თეთრი თიხა

periodus critica – critical period. -კრიტიკული პერიოდი.

Methodus recta- right method-სწორი მეთოდი

Humus sicca –dry soil- მშრალი ნიადაგი და სხვა. Etc.

ბ) რომელთაც აქვთ სახელობითში-us,ხოლო ნათესაობითში -utis ან -udis დაბოლოებები, მესამე ბრუნების მდედრობით სქესს განეკუთნებიან და ასეთი სახელები ლათინურში ცოტაა. სხვა ბრუნებადი სიტყვები მათ შესაბამისად -a ან -is დაბოლოებით შეეწყობიან, მრავლობითი რიცხვის სახელობითში კი მათ -es დაბოლოება ექნება. მაგალითად:

b) Words which have -us in nominative and –utis or –udis in relative are of third declination feminine gender. Such words a not many in latin. Other declinable words will link to these type of words with –a or –is endings, they will have –es ending in plural nominative form.

For example:

palus, paludis , paludes – swamp, of swamp, swamps-ჭაობი, ჭაობის, ჭაობები.

iuventus, iuventutis, iuventutes – youth, of youth, youths.-სიჭაბუკე... სიყმაწვილე...

incus, incudis, incudes – anvil, of anvil, anvils.-გრდემლი ...

salus, salutis – salute-სალამი, გამარჯობა... etc.

გ) რომელთაც აქვთ მხოლოდითი რიცხვის სახელობითში -us, ხოლო ნათესაობითში -eris, -oris -uris დაბოლოებები, განეკუთვნებიან მესამე ბრუნების საშუალო სქესს და სხვა ბრუნებადი სიტყვები მათ -um, ან -e დაბოლოებით შეეწყობიან. (vulnus morsum-ნაკბენი ჭრილობა), მრავლობითი რიცხვის სახელობითში კი, როგორც ნებისმიერი სხვა დაბოლოების მქონე საშუალო სქესის სახელს, მათაც ექნება დაბოლოება -a. მაგალითად:

c) Words which have -eris, -oris, -uris endings in singular relative form belong to third declination neuter gender and other words will link to them by -um or -e endings (Vulnus morsum – Bite wound). They will have -a ending in plural nominative form as other neuter gender words. For example:

ulcus, ulceris, ulcera – ulcer, of ulcer, ulcers.-წყლული, წყლულის, წყლულები.

corpus, corporis, corpora – body, of body , bodies.-სხეული...

crus, cruris, crura – shin, of shin, shins.- კანჭი...

pectus, pectoris, pectora – chest, of chest, chests- მკერდი...

viscus, visceris , viscera – intestines, inner organs.-შიგნეულობა...

vulnus, vulneris, vulnera – wound, of wound, wounds.-ჭრილობა..

pus, puris, pura – pus, of pus, puses- ჩირქი.. etc..

დ). თუ -us-ზე დაბოლოებული სახელი მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითში ისევე -us დაბოლოებას ღებულობს, იგი მიეკუთვნება მეოთხე ბრუნების მამრობით სქესს (რამდენიმე მდედრობითი სქესისაა, მაგალითად manus,-us, ხელი, მტევანი) და მრავლობითი რიცხვის სახელობითშიც იგივე დაბოლოება-us ექნება, ხოლო სხვა ბრუნებადი სიტყვები მათ --us (er)ან -is დაბოლოებით შეეწყობიან.(arcus zygomaticus - ყვრიმალის რკალი. arcus triumphalis-ტრიუმფალური რკალი, exitus letalis-სასიკვდილო გამოსავალი, sinus caroticus-სადილე წიადი.

მეოთხე ბრუნების მამრობითი სქესის სახელებია:

d) If words with -us endings has same endings in singular relative form, it belongs to fourth declination masculine gender. They will have same ending

in plural nominative, other words will link to them with –us(er) or –is endings.
(arcus triumphalis – triumphal arch, exitus letalis – lethal exit, sinus caroticus – carotif sinus)

Words of IV declination masculine gender are:

arcus, arcus, arcus – arch, of arch, arches.- თალი, თალის, თალები.

spiritus, spiritus – breathe, alcohol- სუნთქვა.. , სპირტი...

sinus, sinus, sinus – entrail.-წი ალი.

status, status, status – situation-მდგომარეობა

visus, visus, visus – vision.- მხედვალობა, ხედვა...

abscesus, abscesus, abscesus – abscess= ჩირქგროვა...

exitus, exitus, exitus – exit.-გამოსავალი...

habitus, habitus, habitus – habitus-გარეგანი იერსახე და სხვა,etc.

ასეთი სახელები ლათინურში ბევრი არაა, მაგრამ საკმაო რაოდენობითაა ზმნების ე.წ. სუპინუმის ფუზეზე -us სუფიქსის დართვით გაარსებითსახელებული ზმნები. მაგალითად:

These words are not many in Latin. However, there are a lot of verbs which transform into nouns with –us ending.

statum>status – si tua t ion - მდგომარეობა .

auditum>auditus – hearing. -სმენა

sensum> sensus – sense-გრძნობა

visum>visus – vision - და სხვა.

-ar, -er, -ir, -or. -ur-ზე დაბოლოებული სახელები.

ა) – ar-ზე დაბოლოებული სახელები 111 ბრუნების საშუალო სქესისანი არიან, მათ მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითში აქვთ დაბოლოება -aris, ან, უფრო იშვიათად, -atis, ხოლო მრავლობითი რიცხვის სახელობითში, როგორც ყველა სხვა საშუალო სქესის სახელებს -a დაოლოება (1 რიგის ზედსართავი სახელები და სხვა ბრუნებადი სიტყვები მას

შეწყობა -um, ხოლო მეორე რიგის ზედსართავები -e დაბოლოებით. მაგალითები:

Words with –ar, -er, -ir, -or, -ur endings.

Words with –ar ending are of third declination neuter gender. They have –aris ending in singular relative form, or sometime –atis. They will have –a ending in plural nominative form. (Adjective of first row will link to them with –um, Adjectives of second row with –e ending). Examples:

Calcar, calcaris, calcaria-ნიჟარა... კოვზი... ლოკოკინა. Sink, spoon, snail.

pulvinar, pulvinaris, pulvinaria – pillow, of pillow, pillows.-ბალიში ...

hepar, hepatitis, hepata (greek) – liver (jecur, jecoris – latin)-ღვიძლი.

ბ). –er-ზე დაბოლოებული სახელები განეკუთნებიან 11 და 111 ბრუნების მამრობითს ქესს. ისინი, რომელთაც მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითში აქვთ დაბოლოება -I, 11 ბრუნებისანი არიან, ხოლო რომ ლებიც -is დაბოლოებას ღებულობენ, 111 ბრუნებისანი. ამიტომ -er-ზე დაბოლოებული ყველა სახელი ორივე (სახელობითისა და ნათესაობითის) ფორმით უნდა დავიმახსოვროთ.

11 ბრუნების სახელებს მრავლობითი რიცხვის სახელობითში აქვთ -i, ხოლო 111 ბრუნებისას -es დაბოლოება. (მათ სხვა სახელები შეეთანხმება -us, -er ან --is დაბოლოებით) მაგალითები.

b) Words with –er ending are of second and third declination masculine gender. If they have –i in relative form, they belong to second declination. If they have –is in relative form, they belong to third one. That's why we should remember words with –er endings by both relative and nominative forms. Other words will link to them by –us, -er or –is endings). Examples:

iater, iatri – doctor, of doctor, doctors.-ექიმი..

paediatr, paediatr – children doctor.-ბავშვის ექიმი...

puer, pueri – boy, of boy, boys.-ბავშვი,...

liber, libri – book.-წიგნი,..

liberi – children (only in plural)-ბავშვები.

magister, magistri – teacher-მასწავლებელი,...

trochanter, trochanteris – brace-ციბრუტი,...

venter, ventris – abdomen-მუცელი.

aether, aetheris – ether -ეთერი და სხვა. etc.

er-ზე დაბოლოებული რამდენიმე სახელი მდებარეობითი სქესისაა.

Several words with –er endings belong to feminine gender:

mater, matris – mother.-დედა

gaster, gastris – stomach (greek)-კუჭი.

ასევე რამდენიმე საშალო სქესისაა.

Also several of them are of neuter gender:

tuber, tuberis – hill- ბოლქვი.

cadaver, cadaveris – corpse.-გვამი

Piper, Piperis – pepper.-წიწაკა

Papaver Papaveris – poppy.-ყაყაჩო

Papaver somniferum, Papaveris somniferi-poppy sleeping-ხაშხაში

გ) -ir-ზე დაბოლოებული სახელები ძალიან ცოტაა ლათინურში. ასეთია, მაგალითად vir, vir-i -ვაჟკაცი, მამაკაცი. ამ სიტყვიდან მომდინარეობს ტერმინი „ვირილიზმი“, რაც ქალებში მამაკაცური ნიშნების გამოვლენას ნიშნავს. ასევეა ვირტუოზი, ტრიუმფირატი და სხვა.с) Words with –ir ending are very few (vir, viri, viri – man, brave. Virilism is formed from this word , what means that many signs appear in a woman)

დ) or-ზე დაბოლოებული ძირეული არსებითი სახელები არც ისე ბევრია ლათინურში, მაგრამ საკმაოდ ბევრია ზმნებიდან-or სუფიქსით ნაწარმოები ასეთი სახელები (მათზე

სხვა დროს გვექნება საუბარი), ისინი ძირითადად მამრობით სქესს მიეკუთვნებიან და მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითში აქვთ დაბოლოება -is, მრავლობითი რიცხვის სახელობითში კი -es (ზედსართავი სახელები მათ -us,(-er),-is დაბოლოებით ეთანხმებიან, სხვა ბრუნებადი სიტყვები კი -is სყვიქსით) მაგალითები:

Dolor, doloris, Dolores-ტკივილი,ტკივილის, ტკივილები.

Calor, caloris, calores-სითბო,....

Odor, odoris, odores-სუნი,

Color,coloris, colores-ფერი, ...

Amor,amoris, amores-სიყვარული..

Tumor, tumoris, tumores-სიმსივნე,...

Liquor, liquoris, liquores-სითხე,...

Curator, curatoris, curatores-მზრუნველი,....

Indicator, indicatoris, indicadores-მაჩვენებელი,....და სხვა.

